

არასრულწლოვანთა  
მართლმსაჯულების  
კოდექსის  
იმპლემენტაციის  
შეფასება.



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი



ანგარიში მომზადდა პროექტის “თანამშრომლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტების გაუმჯობესების” ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის (DRI) მიერ, ადამიანის უფლებათა ცენტრთან (HRC) თანამშრომლობით.

**ავტორი:** ლაზარე ჯიბლაძე

**პასუხისმგებელი რედაქტორი:** ალექო ცქიტიშვილი

**იურისტი-მონიტორები:** ნესტან ლონდარიძე, ეკა ქობესაშვილი

# სარჩევი

<b>შესავალი</b> .....	<b>3</b>
<b>1. კვლევის მიზანი</b> .....	<b>4</b>
<b>2. კანონთან კომუნიკაციის მყოფ არასრულწლოვანთა დანაშაული</b> .....	<b>4</b>
<b>3. არასრულწლოვანთა დანაშაულის სპეციფიკა და სტატისტიკური მონაცემები</b> .....	<b>5</b>
<b>4. საერთაშორისო სტანდარტები</b> .....	<b>8</b>
<b>5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში</b> .....	<b>9</b>
<b>6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები</b> .....	<b>10</b>
6.1. არასრულწლოვანების საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტიზაცია....	10
6.2. ინდივიდუალური მიდგომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით .....	12
6.3. განრიდება/მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი .....	14
6.3.1. არჩევითი ჩარევა .....	17
6.3.2. წინასწარ გაფრთხილება.....	18
<b>7. წინასასამართლო სხდომა</b> .....	<b>18</b>
<b>8. მსჯავრდებულის/ზრალდებულის არასრულწლოვანების უფლებრივი მიდგომარეობის მონიტორინგი</b> .....	<b>20</b>
8.1. არასრულწლოვანი პატიმრები.....	21
8.1.1. მიღება – განთავსება .....	21
8.1.2. ე.წ. სრული შემოწმება .....	21
8.2. უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირება .....	23
8.2.1. დანაშაულებათაში არსებული რეჟიმი და დისციპლინური სამართალწარმოება.....	23
8.2.2. უსაფრთხო საკანში და დანაშაულის მოთახვეში მოთავსება .....	25
8.2.3. განათლება-რეაბილიტაცია .....	26
8.3. საპატიმრო პირობები.....	27
8.4. ჯანდაცვა .....	29
8.5. კვება .....	30
8.6. კომუნიკაციის გარესამყაროსთან .....	30
<b>9. შეფასება/შედეგის რეკომენდაციები</b> .....	<b>31</b>

## შესავალი

2016 წლიდან საქართველოში ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (შემდგომში - ამკ ან კოდექსი), რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის, არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის მიმართ განსაკუთრებულ სტანდარტებს აწესებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნები ამავე ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული და მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასა და არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვას გულისხმობს.

ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სრულად ამოქმედებიდან<sup>1</sup>, სხვადასხვა უწყებას დაეკისრა ვალდებულება, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, ჩამოეყალიბებინა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ გამოსაყენებელი დეტალური პროცედურები და პრაქტიკა, რომელიც მოიცავდა პერიოდს სამართალდამცავ ორგანოებთან ბავშვის პირველი კონტაქტიდან - სასამართლო განხილვის ჩათვლით (ასევე სასჯელის აღსრულების ნაწილსაც). აღნიშნულმა სამართლებრივმა აქტებმა უნდა დაარეგულიროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ეფექტიანი იმპლემენტაციის პროცესი<sup>2</sup>. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებებში განმარტებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში გამოყენებად კანონმდებლობას, ნორმებს, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, პოლიტიკას, პროცედურებს, მექანიზმებს, დებულებებს და შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანოებს. შესაბამისად, კანონმდებლობის რეფორმა ფართო გაგებით არა მხოლოდ ნორმატიული აქტის მიღებას, არამედ მთელი რიგი ისეთი ცვლილების გახორციელებას მოიაზრებს, როგორცაა: პოლიტიკის, საბიუჯეტო და ადამიანური რესურსების გათვალისწინება; ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და ინსტიტუციათა შორის კომუნიკაციის სისტემის შეფასება; პროფესიული გადამზადება და პროფესიული პრაქტიკა; კანონის იმპლემენტაციის პროცესის დაგეგმვა- განხორციელება და გარდამავალ ეტაპზე გასატარებელი ღონისძიებები.<sup>3</sup>

საქართველოში, 2008 წლის 1 ივლისიდან - 2010 წლის 23 თებერვლამდე, მთელ რიგ სისხლისსამართლებრივ დანაშაულებზე, არასრულწლოვნებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 12 წლიდან ეკისრებოდათ. გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2010 წელს, კანონში ცვლილებების შეტანის გზით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის მინიმალური ზღვარი 14 წლამდე გაიზარდა.

2016 წელს კოდექსის ამოქმედება იუვენალური მართლმსაჯულების სისტემის ლიბერალიზაციის და აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპის გამლიერებისათვის

<sup>1</sup> კოდექსი ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან, ხოლო ნაწილობრივ, ამავე წლის 1 მარტიდან შევიდა;

<sup>2</sup> „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, კვლევის ანგარიში, ავტორები: ანტონ ქელბაქიანი, ნატალია ცაგარელი, გიორგი ტურაზაშვილი;

<sup>3</sup> არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011 წ. გვ.12.

მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რომელმაც მართლმსაჯულების ახალი სტანდარტი დაამკვიდრა არა მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთათვის, არამედ დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნების მიმართაც. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტად ქცევამ მნიშვნელოვნად შეცვალა წარსულში დამკვიდრებული დასჯაზე ორიენტირებული მიდგომა, რაც არაერთხელ გამხდარა დადებითი შეფასების საგანი, როგორც ადამიანის უფლებებზე მომუშავე საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების<sup>4</sup> მიერ.

მიუხედავად ამისა, კოდექსის ამოქმედებიდან თითქმის 4 წლის თავზე კვლავაც აქტუალურია კოდექსის დანაწესთა ერთგვაროვნად განმარტების პრობლემა, მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე ცალკეული უწყებების მიერ, კოდექსით გარანტირებული სტანდარტების პრაქტიკული იმპლემენტაცია და ხარისხის კონტროლის გამართული მექანიზმის არარსებობა.

## 1. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ, კოდექსით გათვალისწინებული ცვლილებების მიმოხილვა და პრაქტიკული იმპლემენტაციის შეფასებაა. ყურადღება გამახვილდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებსა და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მარეგულირებელი ნორმების მასთან თავსებადობაზე. კვლევის მიზანია, ასევე, მონიტორინგის გზით გამოვლენილი პრაქტიკული ხარვეზებისა და არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზის საფუძველზე შესაბამისი უწყებებისათვის რეკომენდაციათა შემუშავება.

## 2. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დანაშაული

დანაშაულის კლასიფიკაციისა და კატეგორიზაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად დანაშაულის ცნების განსაზღვრას, რაც ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში. ამნორმის თანახმად, „*დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება*“.

დანაშაულის ცნების ქართული მოდელი გერმანული, სამეღმენტიანი დანაშაულის ცნების მოდელიდან გამომდინარეობს, რომელთა კუმულატიურ არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის.

ქართული კანონმდებლობა არ გვამღვეს საკუთრივ არასრულწლოვანთა დანაშაულის ცალკე დეფინიციას და მხოლოდ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე აკეთებს მითითებას. რაც შეეხება არასრულწლოვნის ცნების განსაზღვრას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისთვის, ქართული კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანია პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის

<sup>4</sup> კოალიციის „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ 2015 წლის 16 აპრილის განცხადება იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე. იხ. ბმული: <https://www.transparency.ge/ge/content/stub-727>.

მომენტისთვის შეუსრულდა 14, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი<sup>5</sup>. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით კი განმარტებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის დეფინიცია<sup>6</sup>.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის ქვეშ მოიაზრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომლის ამსრულებლები არიან 14-17 წლის მოზარდები.

### 3. არასრულწლოვანთა დანაშაულის სპეციფიკა და სტატისტიკური მონაცემები

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები მაღალი ლატენცურობით ხასიათდება. ლატენცურად სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი დასჯადი ქმედება (დანაშაული) უნდა ჩაითვალოს, რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ გახდა ცნობილი, ვერ გამოვლინდა და ამიტომ, არ მოხდა პოლიციის სტატისტიკაში მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია<sup>7</sup>.

სხვადასხვა კვლევის თანახმად<sup>8</sup>, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ლატენცურ დანაშაულებათა ხვედრითი წილი ქვეყნის ლატენცურ დანაშაულთა საერთო რაოდენობაში ყველაზე მაღალი პროცენტულობით ხასიათდება<sup>9</sup>, მიუხედავად იმისა, რომ ისინი (მოზარდები) ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 16-18 პროცენტს შეადგენენ. არასრულწლოვანთა დანაშაული მათი ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების გამო საზოგადოების ნორმალური გამოვლინებაა<sup>10</sup>, ანუ ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს კანონის ნორმა დარღვეული<sup>11</sup>. შესაბამისად, საზოგადოებისთვის პრობლემას არა ყველა არასრულწლოვანი, არამედ ქრონიკული არასრულწლოვანი დამნაშავეები ე.წ. chronic offender წარმოადგენს. სახელმწიფოს მიზანიც, პირველ რიგში, სწორედ მსგავსი ტიპის დანაშაულობათა პრევენცია უნდა იყოს.

ზოგადად, დევიანტური ქცევა არის ნებისმიერი ქცევა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში არსებულ დომინანტურ ნორმებს. დევიანტური ქცევის ახსნას მრავალი თეორია ცდილობს, მათ შორის სოციოლოგიური, ბიოლოგიური თუ ფსიქოლოგიური, თუმცა ერთიანი ფორმულა თუ რატომ სჩადის ადამიანი მსგავს ცნებას, არ არსებობს. რაც შეეხება დელინკვენტურ ქცევას, ამ ცნებით აღინიშნება არალეგალური ან ანტისოციალური ქმედებები, რომლებიც მოიცავს უამრავი სხვადასხვა ხასიათის სამართლებრივი და სოციალური ნორმის დარღვევას. დელინკვენტურობის სოციოლოგიური ანალიზი ფოკუსირდება კრიმინალური დელინკვენტურობის ხარისხზე, რომელიც უკავშირდება მამრობითი სქესის მოზარდებს 12-დან 20 წლამდე და მოიცავს მაღალი რანგის სისხლის სამართლის დანაშაულებს<sup>12</sup>.

<sup>5</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, „ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 1;

<sup>6</sup> იხ. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3, პუნქტი 2;

<sup>7</sup> იხ. შუმანაშვილი, ა., 2000, გვ. 155.

<sup>8</sup> იხ. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო)“, მეორე გამოცემა, მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წ;

<sup>9</sup> Schneider, H.J., 1987. S. 603;

<sup>10</sup> Albrecht, P.-A., 2005. S. 4;

<sup>11</sup> Kaiser, G., 1985. S. 225-228;

<sup>12</sup> Juvenile delinquency: understanding the origins of individual differences; Quinsey, Vernon L. Skilling, Tracey A. Lalumiere, Martin L. Craig, Wendy M. 2004.

ბოლო 20 წლის განმავლობაში არასრულწლოვანთა დელინკვენტობის ჩამოყალიბებისთვის მიძღვნილმა კვლევებმა წარმოშვა თეორიათა მრავალფეროვნება მის წარმოშობასა და განვითარებაზე. თუკი, არასრულწლოვანთა დელინკვენტობის რისკ-ფაქტორები შედარებით კარგად არის ცნობილი, მეცნიერებაში კვლავაც არ არსებობს მის წარმოშობასთან დაკავშირებით საკმარისი თეორიული თანხმობა. ამიტომ რთულია საუბარი დელინკვენტობის გამომწვევ ცალსახა მიზეზზე, რამდენადაც იგი ისეთი რისკფაქტორების კომბინაციის შედეგია, როგორცაა მაგალითად, ჰიპერაქტიურობა, პერინატალური პრობლემები, თანატოლთა გავლენა, ტემპერამენტი, ჯგუფის მხრიდან უარყოფა, არახელსაყრელი ოჯახური გარემო და ა.შ., რომლებიც ინტერაქციაშია ისეთ დამცავ ფაქტორებთან, როგორცაა მაგ. პოზიტიური ოჯახური გარემო და მშობლების მხრიდან კონტროლი.

სოციოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თეორიათა დიდი ნაწილი, დელინკვენტობის ახსნისას, ყურადღებას ამახვილებს ისეთი ცვლადების გავლენაზე, როგორცაა სოციალური კლასი და ოჯახის შემადგენლობა. სოციოეკონომიკურ სტატუსსა და დამნაშავეობას შორის მჭიდრო კავშირზე ცდილობს აქცენტირებას კრიმინალურობის მემკვიდრეობითობის შესახებ მოსაზრებებიც<sup>13</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, დევიაციის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვა თეორია (ფსიქო-ანალიტიკური თეორია, დასწავლის თეორია, კოგნიტური განვითარების თეორია, ქცევითი აშლილობა, ჰორმონები, ჯგუფის გავლენა, პიროვნული მახასიათებლები, ბულინგი ა.შ.) განსხვავებულად ხსნის, თუმცა ფაქტია, რომ საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ვერცერთი თეორია დამოუკიდებლად ვერ ახდენს ამ ფენომენის დეტერმინანტთა სრულყოფილ ახსნას.

სწორი და ქმედითი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორად განხორციელებულ კრიმინოლოგიურ კვლევას, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი სისხლის-სამართლებრივი სტატისტიკის ანალიზია. თავის მხრივ, არსებული სტატისტიკური მონაცემები ეფუძნება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ციფრებში ასახულ მხოლოდ იმ მონაცემებს, რაზეც სამართლებრივი რეაგირება მოხდა, რამდენადაც არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაული არ ითვლება ოფიციალურად არსებულად მანამ, სანამ მასზე სამართლებრივი რეაგირება არ მოხდება. თუმცა, ვინაიდან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულები მაღალი ლატენტურობით ხასიათდება, ოფიციალურ სტატისტიკაში არსებული და ფაქტობრივი რაოდენობა ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულია.

საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის კვლევა, ძირითადად, მხოლოდ ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებლით განისაზღვრება. ამდენად, ცხადია, ეს მონაცემები ფართო და სრულყოფილი პრევენციის პოლიტიკის განსასაზღვრად ვერ ჩაითვლება საკმარისად. თუმცა, გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა არასრულწლოვანთა ჩადენილ არალატენტურ დანაშაულებათა შესახებ.

<sup>13</sup> აღნიშნული თეორიის თანახმად, ინდივიდები დაბალი ინტელექტითა და ანტისოციალური პიროვნული ნიშნებით, როგორცაა აგრესიულობა, დაუდევრობა, არაკეთილსინდისიერება, გაუფრთხილებლობა, მოსალოდნელია, რომ იყვნენ უფრო დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონენი. რამდენადაც ეს მახასიათებლები განიცდიან გენეტიკურ გავლენას, იმდენად არის შანსი იმისა, რომ გენები, რომლებიც გავლენას ახდენს ხსენებულ პიროვნულ ნიშნებზე, ასევე დაკავშირებული იქნება სოციოეკონომიკურ სტატუსთან.

2015-2019 წლების ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბოლო 5 წლის განმავლობაში, მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 146-დან 292- მდე მერყეობს, რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.9-1%-ს შეადგენს.

2015-2019 წლებში, იმ მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა ასაკიც 14-15 წელს შეადგენს, მერყეობდა 39-დან 75-მდე, ხოლო 16-17 წლის მსჯავრდებულთა რაოდენობა - 107-დან 223 არასრულწლოვნამდე<sup>14</sup>.

სტატისტიკის ანალიზით შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა უმეტესობას ბიჭები წარმოადგენენ. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ბიჭი მსჯავრდებულების ხვედრითი წილი, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობაში 96.6-დან 98.6 %-მდე მერყეობს. გოგონების რაოდენობა კი, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, 2-დან 10%-მდეა<sup>15</sup>.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2015-2019 წლებში არასრულწლოვან მსჯავრდებულთაგან 118-252 პირი დანაშაულის ჩადენის მომენტში არც სწავლობდა და არც მუშაობდა. ასეთ არასრულწლოვანთა პროცენტული წილი ძალიან მაღალია და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 80.8-დან 86.9%-მდე მერყეობს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, ეს მაჩვენებელი მუდმივად მზარდია და 2013 წლიდან დღემდე ყველაზე მაღალ ნიშნულს სწორედ 2019 წელს მიაღწია. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს დანაშაულის ჩადენაში სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების განსაკუთრებულ წილს და, შესაბამისად, სწორი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების აუცილებლობას.

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისას სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების აუცილებლობაზე მიუთითებს არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის დინამიკაც, დანაშაულის სახეების მიხედვით. უკანასკნელი 5 წლის სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები ძირითადად ეკონომიკური სახის დანაშაულს სჩადიან, რომელშიც განსაკუთრებული წილი ქურდობაზე მოდის. 2015-19 წლებში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა საერთო რაოდენობაში ქურდობის წილი 56.2%, ხოლო ეკონომიკურ დანაშაულთა (ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა) საერთო წილი - 72.3 %-ია.

დანაშაულის სახეების მიხედვით არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რაოდენობის დინამიკა ასევე ცხადყოფს, რომ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებს შორის მცირე ადგილი უჭირავს ძალადობრივ დანაშაულებს და მინიმალურია სქესობრივი დანაშაულების ადგილი.

2015-19 წლების სტატისტიკის თანახმად, ამ წლებში, მსჯავრდებულთა სულ 1137 არასრულწლოვანი. ამათგან სასამართლომ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 296 კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოიყენა, რაც მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა თითქმის 26%-ს შეადგენს.

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკა, ნაწილი 3, გვ. 80; <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2019-weli-wigni-sisxli.pdf>;

<sup>15</sup> იქვე.



## 4. საერთაშორისო სტანდარტები

ბავშვის უფლებათა კონვენცია და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი ქმნიან ყველაზე მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. სწორედ კონვენცია ქმნის იმ ინსტრუმენტულ გარანტიებსა და ძირითად პრინციპებს, რომლებსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა უნდა ითვალისწინებდეს.

დამოუკიდებელი უფლების მატარებელ სუბიექტად ბავშვის აღიარება სწორედ მე-20 საუკუნეს უკავშირდება. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1980-იან წლებში საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესების ისეთი კომპლექტის შემუშავების დაწყებას, რომელსაც სრულად უნდა მოეცვა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების“ სფერო - დანაშაულის პრევენციიდან - სასჯელის აღსრულებით/ზომებით დამთავრებული.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო რეგულირებას არაერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი მიეძღვნა, როგორც გაეროს, ისე ევროპის საბჭოსა და სხვა რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში.

პირველ აბზაცში აღნიშნული კონვენციების გარდა, რომლის რატიფიცირების შემდგომ ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაიცვან კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, არსებობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ოთხი ძირითადი დამატებითი დოკუმენტი, რომლებიც თავისი შინაარსით საერთაშორისოდ აღიარებულ მინიმალურ სტანდარტებს წარმოადგენენ. ესენია: გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ („პეკინის წესები“)<sup>16</sup>; გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ („რიადის პრინციპები“<sup>17</sup>); გაეროს წესები თავისუფლებადაკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები“<sup>18</sup>); და სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ („ვენის პრინციპები“).

გარდა საერთაშორისოდ აღიარებული ამ 4 უმნიშვნელოვანესი დოკუმენტისა, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს რეგიონულ ინსტრუმენტებზეც, რომელთაგან საქართველოსთვის განსაკუთრებით რელევანტური ევროპული კონვენციაა - ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ („ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“);

<sup>16</sup> იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ („პეკინის წესები“) <https://bit.ly/2Zcq408>;

<sup>17</sup> იხ. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ („რიადის პრინციპები“) <https://bit.ly/2FhZw6z>;

<sup>18</sup> გაეროს წესები თავისუფლებადაკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად („ჰავანის წესები“).

## 5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოში

1999 წლიდან 2016 წლის 1-ლ იანვრამდე ქართულ კანონმდებლობაში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი კოდექსით იყო მოწესრიგებული. კოდექსის იმ დროს მოქმედი რედაქციით, კანონმდებელმა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად 14 – 18 წელი განსაზღვრა.

სასჯელის მიზანი სსკ 39-ე მუხლშია მოცემული, რომელიც სრულწლოვან მსჯავრდებულებთან ერთად 2016 წლამდე არასრულწლოვან მსჯავრდებულებზეც ვრცელდებოდა. სსკ 53-ე მუხლით სასჯელის დანიშვნისას კი მოსამართლეს შეეძლო, მხედველობაში მიეღო ბავშვის ასაკი და კონკრეტული გარემოებები, მაგრამ სასჯელის ერთ-ერთ მიზნად სამართლიანობის აღდგენის არსებობა ლავირების ნაკლებ საშუალებას იძლეოდა.

2007 წელს განხორციელებული ცვლილებებით, გარკვეული დანაშაულებისთვის პასუხისმგებლობის ასაკი 12 წლამდე შემცირდა. აღნიშნულ ცვლილებებს მკვეთრად უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა როგორც საერთაშორისო (ბავშვთა უფლებების კომიტეტი, UNICEF), ისე ადგილობრივი ორგანიზაციების მხრიდან. შედეგად, ეს ცვლილება პრაქტიკულად არ განხორციელებულა, მოგვიანებით კი გაუქმდა და ყველა დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ასაკად კვლავ 14 წელი განისაზღვრა.

საქართველო ბავშვის უფლებათა კონვენციას 1994 წელს შეუერთდა, რითაც იკისრა კონვენციით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება. კონვენციასთან შეერთების შემდგომ ხელშემკვერელი სახელმწიფოები ვალდებული არიან, კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, გადასინჯონ ეროვნული კანონმდებლობა და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ქვეყანაში კონვენციის განხორციელებას.

ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში სამართლიანად მიიჩნევა ერთ-ერთ პროგრესულ ნოვაციად აღიარებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2015 წლის 12 ივნისს მიიღო. სწორედ ამ კოდექსით დაინერგა არასრულწლოვანთადმი ბავშვის ჭეშმარიტ/საუკეთესო ინტერესზე დაფუძნებული მიდგომა, რაც შეესაბამება 1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციას.

თავის მხრივ, კონვენცია ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება, რომელთა დაცვა აუცილებელია კონვენციის მიზნების მისაღწევად: (1) კონვენციის მე-2 მუხლი კრძალავს ყოველგვარ დისკრიმინაციას და მის თითოეულ უფლებას ავრცელებს ყველა ბავშვზე, ნებისმიერი ნიშნისგან დამოუკიდებლად; (2) მე-3 მუხლით განმტკიცებულია ბავშვთა საუკეთესო ინტერესების<sup>19</sup> დაცვის უპირატესობა, ბავშვისადმი ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას; (3) მე-6 მუხლი ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე აკეთებს განსაკუთრებულ აქცენტს, ხოლო (4) მე-12 მუხლი სავალდებულოდ მიიჩნევს ბავშვის შეხედულების გათვალისწინებას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება.

<sup>19</sup> **შენიშვნა:** ძველ რედაქციაში, მითითებული იყო ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები, რაც სინონიმია ბავშვის საუკეთესო ინტერესების;

კონვენციით დაცული ძირითადი უფლებების კატეგორიზაცია შესაძლებელია 4 ძირითად ნაწილად მოხდეს: სიცოცხლის, განვითარების, დაცვისა და მონაწილეობის უფლება<sup>20</sup>.

ბავშვის უფლებების მსგავსად ფართო აღიარებას თეორიულ საფუძველთან ერთად პრაქტიკული ბერკეტებიც გააჩნია. რაც კონკრეტული ქვეყნის სამართლის სისტემაში საკანონმდებლო, სასამართლო თუ აღმასრულებელ დონეზე სხვადასხვა მექანიზმით არის გამყარებული.

## 6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები

### 6.1. არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა

ბავშვთა უფლების კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად: „ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას“. „...ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა დამნაშავეის დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისათვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად<sup>21</sup>“.

ამ პრინციპის გასამყარებლად, ბავშვთა უფლებების შესახებ ევროპის საბჭოს სტრატეგიაში ბავშვის უფლების პრიორიტეტულობა, ბავშვთა მიმართ კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემისთვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს. ევროპის საბჭოს მინისტრიალის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის თანახმად, „ყველა ქმედებაში, რომელიც ბავშვებს ეხება და, მიუხედავად იმისა, ეს ხორციელდება საჯარო თუ კერძო სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაციის მიერ, სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოების თუ საკანონმდებლო პირების მიერ, ბავშვის საუკეთესო ინტერესი ყოველთვის პირველ რიგში უნდა იყოს გათვალისწინებული“<sup>22</sup>.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არის არასრულწლოვნებისადმი ჰუმანური და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის ნაწილი. არასრულწლოვანი თავად არის პროცესის ცენტრი, რომლის გარეშეც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არ არსებობს. პრევენციის ღონისძიებათა მიზანია, აარიდოს არასრულწლოვანი სამართლის სისტემას, მაგრამ თუკი ეს ღონისძიებები შედეგს ვერ გამოიღებს, სახელმწიფო ქმნის საერთო სისხლის სამართლებრივი პოლიტიკისგან განსხვავებულ, სპეციალურ გარანტიებს, რომელიც არასრულწლოვანთა ინტერესების გათვალისწინებით განსაკუთრებულ მართლმსაჯულებაში პოვებს ასახვას.

<sup>20</sup> „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, 2007. გვ 5 იხ. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martl3.pdf>;

<sup>21</sup> იხ. ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი N10 (2007), პუნქტი 10.

<sup>22</sup> იხ. ევროპის საბჭოს სტრატეგია ბავშვთა უფლებების შესახებ (2016-2021), გვ. 14 [https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01\\_GEO/socialuri\\_dacva/Bavshvta-STRA/GE1.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/oldMoh/01_GEO/socialuri_dacva/Bavshvta-STRA/GE1.pdf);

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველივე მუხლში განმარტებულია, რომ კოდექსის მიზანი პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაა. ამას გარდა, კოდექსის მიზნად განსაზღვრულია არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციის და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მართლწესრიგის დაცვა<sup>23</sup>.

ამ ჩანაწერით, კანონმდებელი კოდექსის მიზნებს შორის პრიორიტეტს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას ანიჭებს. აღნიშნული, ამ კოდექსის მიზნებისთვის, არასრულწლოვნის ინტერესის, საჯარო ინტერესთან მიმართებით, უპირატესობის მინიჭებაზე მიუთითებს. ცხადია, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან სრულწლოვანთაგან განსხვავებით, არასრულწლოვნის მიმართ გამოსაყენებელ სისხლისამართლებრივ სანქციას აღმზრდელითი ფუნქცია აქვს. მაშინ როცა, სრულწლოვნებთან მიმართებით სასჯელის მიზნებს შორის რესოციალიზაციასთან ერთად ასევე სამართლიანობის აღდგენა და გენერალური პრევენცია.

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების განმარტებას ამკ მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში ახდენს, რომლის თანახმად, „**არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები არის არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება**“. შესაბამისად, პრაქტიკაში არსებულ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს თუ რა არის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი და სახელმწიფო რესურსი სწორედ ამ ინტერესის გახორციელებისკენ უნდა იქნეს მიმართული.

პრაქტიკაში მსგავსი მიდგომის განხორციელება გულისხმობს უფლებათა კოლიზიის პირობებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტიზაციას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონშემოქმედებითი პროცესის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესით ბოჭვასა და თავად საუკეთესო ინტერესის, როგორც სახელმძღვანელო პრინციპის გამოყენებას ცალკეული ნორმების განმარტებისას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ერთ-ერთი მიზანი სწორედ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვაა, რომელსაც, თავის მხრივ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვნის მიმართ სასჯელის დანიშვნისას.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას ყველა გადაწყვეტილების მიღებაში უპირატესობა უნდა ენიჭებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს<sup>24</sup>. არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარების დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებებით. სწორედ ეს განსხვავებები წარმოადგენენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განსხვავებული სისტემის შექმნის საფუძველს და მოითხოვენ არასრულწლოვანთა მიმართ განსხვავებულ დამოკიდებულებას<sup>25</sup>.

<sup>23</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 1.

<sup>24</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე გვ. 60.

<sup>25</sup> იქვე. გვ. 60;

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება კოდექსის ცალკეული ნორმების ბავშვთა საუკეთესო ინტერესებთან შეუთავსებლობის პრობლემაზე<sup>26</sup>. ამ მხრივ, საგულისხმოა ამკ-ს 35-ე და 36-ე მუხლები, რომლებიც არასრულწლოვნებს, თუკი საკუთარ ქცევას უკეთესობისკენ შეცვლიან, საზოგადოებაში ღირსეულად დაბრუნდებიან და ახალ ცხოვრებას დაიწყებენ, შესაძლებლობას არ აძლევს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და სასჯელის მოხდისაგან ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე გათავისუფლდნენ.

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება კოდექსის ყველა მუხლს ერთნაირად უნდა მიესადაგებოდეს, რადგან სწორედ ინტერესთა პრიორიტეტიზაცია და ინდივიდუალური მიდგომა არის ის ქვაკუთხედი, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში კონვენციით იმპერატიულად არის დადგენილი.

ამასთან, არსებული მდგომარეობით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ხორციელდება ქართული სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შეჯიბრებითობის პროცესის გათვალისწინებით. აღნიშნული პროცესუალური პრინციპი საქმის განმხილველ მოსამართლეს ზღუდავს მხარეთა შეთანხმებით კითხვების დასმასა და მტკიცებულებათა მოპოვებაში. აღნიშნული პრინციპის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში გამოყენება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისათვის შემაფერხებელ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, წარმოდგენილ მტკიცებულებათა გამოკვლევას ეფუძნება, მაგრამ მოსამართლე საქმის განხილვის ყველა ეტაპზე, ისევე როგორც პროცესის ყველა აქტორი, ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ხელმძღვანელობდეს. შესაბამისად, ამ პროცესში მოსამართლის ჩართულობა კიდევ უფრო გაზრდიდა ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის სტანდარტს სასამართლო განხილვის ეტაპზე.

გარდა ამისა, ქართულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოქმედი საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი, ასევე მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში<sup>27</sup>, რაც არსებითად შეუთავსებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან. მით უფრო, როცა არასრულწლოვანთა მიმართ განაჩენის საპროცესო შეთანხმებით გამოტანის ყოველწლიური პროცენტული წილი საკმაოდ მაღალია<sup>28</sup>.

## 6.2. ინდივიდუალური მიდგომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით

„ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალურობა<sup>29</sup>. ხოლო თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავის ინდივიდუალურობის ნაწილს ან მის ყველა ელემენტს, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები

<sup>26</sup> შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი 2016, გვ. 74.

<sup>27</sup> იხ. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (მაგალითად, 71-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში უშვებს საპროცესო შეთანხმების დადებას;

<sup>28</sup> 2019 წელს გასამართლებული 291 არასრულწლოვანი პირიდან 34,2%-ზე განაჩენი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე იქნა გამოტანილი. 2018 წელს გასამართლებული 181 არასრულწლოვანი პირიდან კი განაჩენი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე 53% შემთხვევაში დადგა;

<sup>29</sup> „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენცია, 1989 წლის 20 ნოემბერი, მუხლი 8, ნაწილი I;

უზრუნველყოფენ მას საჭირო დახმარებითა და დაცვით მისი ინდივიდუალურობის რაც შეიძლება სწრაფად აღდგენისთვის<sup>30</sup>.

კონვენციის სულისკვეთების გათვალისწინებით, ინდივიდუალური მოპყრობის აუცილებლობას ადგენს და განამტკიცებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 მუხლი. ინდივიდუალური მოპყრობა ზოგადი პრინციპია და მისი რაიმე ფორმით შეზღუდვა, მაგალითად ბრალდებულის/მსჯავრდებულის, ნასამართლობისა და სხვა ნებისმიერ გარემოებათა გამო, არის დაუშვებელი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ოქტომბრის განაჩენში მითითებულია: „თუ არასრულწლოვანი ნასამართლობის არმოქმნა (მას მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა), მის მიმართ წარსულში გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული“. საკასაცაო ინსტანციის სასამართლომ, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სწორად განმარტა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის დანაწესი.

ამკ-ის მე-14 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას<sup>31</sup> და მის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვანის ინდივიდუალური მახასიათებლები.

არასრულწლოვანის ინდივიდუალურ მახასიათებლებად მიიჩნევა მისი ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვანის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა<sup>32</sup>.

ინდივიდუალური მიდგომა იუვენალურ სისტემაში ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპია. ინდივიდუალური მიდგომის მოთხოვნა განმტკიცებულია ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმით, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებითა და სხვა საერთაშორისო აქტებით<sup>33</sup>.

ინდივიდუალური მიდგომა მჭიდრო კავშირშია არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებასთან და გულისხმობს, რომ არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვროს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მისი სპეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული არასრულწლოვანის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას<sup>34</sup>.

<sup>30</sup> იქვე. მუხლი 8, ნაწილი II;

<sup>31</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 14, ნაწილი 2;

<sup>32</sup> იქვე. მუხლი 14, ნაწილი 1;

<sup>33</sup> გაეროს „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დამატებითი ოქმი, მუხლი 8.1 (ა); გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, პარაგრაფები: 10, 11, 14, 16; ლანზაროტეს კონვენცია, მუხლი 31.1. იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე გვ. 61;

<sup>34</sup> იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე გვ. 61.

### 6.3. განრიდება/მადიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დავის ალტერნატიული მექანიზმი

სასამართლო განხილვის გარეშე არასრულწლოვანთა საქმეების გადაწყვეტის იდეა და მისი მექანიზმები მტკიცედაა ჩადებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო ინსტრუმენტებში.

საერთაშორისო სტანდარტი სახელმწიფოებისგან ისეთი პროცედურების შემუშავებას მოითხოვს, რაც შესაძლებელს გახდის ბავშვთა საქმეები განხილული იყოს და მოგვარდეს სასამართლო საქმისწარმოებისათვის ან სასამართლო პროცესისათვის მიმართვის გარეშე („განრიდება“), როდესაც ეს შესაფერისი და სასურველია, ადამიანის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით<sup>35</sup>.

კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთა დანაშაულზე რეაგირებისას, საერთაშორისო სტანდარტით ქვეყნებს „საფეხურებრივი“ სისტემის დანერგვის ვალდებულება გააჩნიათ, რაც გულისხმობს რეაგირების ყოველგვარი ზომების მიუღებლობას, ბავშვების გაფრთხილებას, განრიდებას სასამართლო პროცესამდე და, უკიდურესი ზომის სახით, სასამართლო განხილვას<sup>36</sup>.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლი, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობას ანიჭებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, პატიმრობის კოდექსისა და თავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქი საშუალებების გამოყენებას. ამკ-ს მე-8 მუხლი იმპერატიულად ადგენს არასრულწლოვანთა მიმართ, პირველ რიგში, განრიდებას და აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებათა გამოყენების მართებულობის შეფასებას, სასჯელის მიზნების მიღწევასთან მიმართებით. ამასთან, კანონმდებელი სასამართლოში საქმის წარმოების ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების დეტერმინანტად ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას მიიჩნევს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ამკ არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების მიღწევის მიზნად სასჯელის ყველაზე მსუბუქ ზომასა და ალტერნატიული ზომების გამოყენებას მიიჩნევს<sup>37</sup>.

განრიდებას ღონისძიებებს დეტალურ ჩამონათვალს აკეთებს ამკ-ის 42-ე და 45-ე მუხლები. ამკ 45-ე მუხლი აკეთებს სპეციალურ დათქმას, რითაც შესაძლებელი ხდება, არასრულწლოვანს დაევალოს: „სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას“.

<sup>35</sup> ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტი; იხ., აგრეთვე, პეკინის წესების მე-6 დამე-11 წესები;

<sup>36</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ მომზადებული, ზოგადი კომენტარი N 10-ის (2007), 27-ე პუნქტის, თანახმად, კანონი უნდა შეიცავდეს სპეციალურ დებულებებს, რომლებშიც მითითებული იქნება, რა შემთხვევებშია განრიდება დასაშვები, და არეგულირებდეს ამ მიმართულებით პოლიციის, პროკურატურის და/ან სხვა შესაბამისი უწყებების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას, კერძოდ, დისკრიმინაციისაგან ბავშვის დაცვის მიზნით;

<sup>37</sup> **შენიშვნა:** თუ საქმე მაინც დაექვემდებარება სასამართლო განხილვას, ამკ არასრულწლოვანთა სასჯელის სახეების გრადაციას შემდეგი თანმიმდევრობით განსაზღვრავს: ჯარიმა, შინაპატიმრობა, თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების ვადიანი აღკვეთა; იხ.: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 66.

ამდენად, განრიდების გაფორმებაზე უფლებამოსილ სუბიექტს კანონმდებელი უტოვებს უფლებას, არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლებიდან და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, დააკისროს მას სხვა, ისეთი სახის ვალდებულება, რაც მისთვისვე იქნება სასარგებლო და აარიდებს არასრულწლოვანს სასამართლოსთან შემხებლობას.

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი სუბიექტია პროკურორი და, ასევე - მოსამართლე, კანონით დადგენილი წესით. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, საქმის სასამართლოში განხილვისას, მოსამართლის მიერ საქმის პროკურორისათვის დაბრუნება განრიდების მიზნით პროკურორისათვის განრიდების ვალდებულებას წარმოშობს. ამ ნაწილში კანონმდებელი ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვას შეჯიბრებითობის პრინციპზე მალა აყენებს, რაც სავსებით გამართლებულია და შეესაბამება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპებსა და სულისკვეთებას.

დაცვის მხარეს უფლება აქვს, წინასასამართლო განხილვის ეტაპზე, დასაბუთებული შუამდგომლობით მიმართოს პროკურატურას ან - სასამართლოს, წინასასამართლო სხდომის შემდგომ. განრიდებაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდებისა ან/და განრიდებისა და მედიაციის შესახებ, რომლის მოქმედების ვადა, ამკ-ს თანახმად, არ აღემატება 1 წელს.

ამკ-ს მე-40 მუხლი განრიდების სავალდებულო წინაპირობებს განსაზღვრავს, რომლის მიხედვითაც, არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენებისას უნდა არსებობდეს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ არასრულწლოვანმა მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, იგი არ უნდა იყოს ნასამართლევი, არ უნდა იყოს განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული, უნდა აღიარებდეს დანაშაულს და სხვ. მხოლოდ ყველა გარემოების კუმულატიურად არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი არასრულწლოვანის მიმართ განრიდების გამოყენება.

განრიდება და მედიაცია არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ერთადერთი ალტერნატივა. მეტიც, განრიდების გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს სხვა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული, უფრო ნაკლებად მტკივნეული, ისეთი მექანიზმების გამოყენება, როგორცაა: არავითარი ჩარევა, წინასწარი გაფრთხილება, მზრუნველობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროცედურების გამოყენება. განრიდების გაფორმება უნდა იყოს დაკავშირებული ამ მექანიზმების გამოყენებით სასურველი მიზნის მიღწევის არაეფექტიანობასთან, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

**აუცილებელია, რომ სახელმწიფოს რეაგირებას სუბორდინაცია ჰქონდეს დავის ალტერნატიული მეთოდების გამოყენების დროსაც, როგორც ეს აქვს სასჯელის დანიშვნისა და განრიდების შემთხვევაში.**

რაც შეეხება განრიდებასთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ, კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშების<sup>38</sup> ანალიზით დგინდება,

<sup>38</sup> „საქართველოს პროკურატურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში“, 15/05/2020 იხ. [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136661/1-6475\\_prokuratura\\_angarishi](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/136661/1-6475_prokuratura_angarishi) და „საქართველოს პროკურატურის 2018 წლის გაწეული საქმიანობის ანგარიში“ 14/05/2019 იხ. [http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/117914/1-9440\\_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/117914/1-9440_%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90).



რომ განრიდების გამოყენების ტენდენცია ამჟამად ძალაში შესვლის შემდეგ (2016 წ.) ძირითადად მზარდია. ყოველწლიურად პროკურატურის მიერ არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებით დასრულებული საქმეების მზარდი რაოდენობა, ხოლო სასამართლოს მიერ საქმის პროკურატურისთვის დაბრუნების შემთხვევების შემცირება - არასრულწლოვნისთვის განრიდების გაფორმების მოთხოვნით, მიუთითებს კოდექსის ამოქმედების შემდგომ, მისი ნორმების პრაქტიკული იმპლემენტაციის დადებით ტენდენციაზე. 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ არის შემცირებული. კერძოდ, 2019 წელს - განრიდების პროცენტული მაჩვენებელი, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით 57%-ს წარმოადგენს. იგივე მაჩვენებელი 2018 წელს 59%-ს შეადგენდა. ამასთან, 2019 წელს, გასულ წელთან შედარებით, 81 ერთეულით არის შემცირებული 14-დან 18 წლამდე პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის რაოდენობა. თუკი, 2018 წელს განრიდებულ და დევნადაწყებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 848 იყო, იგივე მაჩვენებელი 2019 წელს 767-ია.

2019 წელს განრიდებული 437 არასრულწლოვანიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით 34 შემთხვევაში დაბრუნდა. 2018 წელს კი 497 საქმიდან სასამართლომ 29 საქმე დაუბრუნა პროკურატურას.

მართალია, 2019 წლის მონაცემები 2018 წელთან შედარებით გაზრდილია, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ბოლო 2 წლის მონაცემთა შედარება არ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ტენდენცია ცალსახად გაუარესებულია. 2019 წელს, 2018 წლის მსგავსად, განრიდების ხელშეკრულების დამრღვევთა რაოდენობა, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის გამო, უცვლელია და კვლავ 2%-ს წარმოადგენს. ამასთან, თუკი 2018 წელს განრიდების ხელშეკრულების 38 ფაქტი დაფიქსირდა, იგივე მაჩვენებელი 2019 წელს 17-ს შეადგენს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

სწორედ განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კატალიზატორი განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის შესაფასებლად. საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 2010-2019 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის კვლევა, რისი შედეგებიც ასახულია 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში. კვლევის თანახმად, რეციდივის მაჩვენებელი შემდეგია: 2010-2018 წლებში განრიდებული 2473 არასრულწლოვანიდან განმეორებითი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 328-ს (13%).

2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, 2010-2019 წლის იმავე მონაცემების ანალიზით 2910 არასრულწლოვანიდან განმეორებითი დანაშაული 345-მა ჩაიდინა, რაც 11,85 %-ია. შესაბამისად, ტენდენცია ამ მიმართულებითაც დადებითია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ქვეყანაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და განრიდება/მედიაციის ლიბერალური პროგრამის შედეგს. თუმცა, პრობლემად უნდა აღინიშნოს ალტერნატიული სერვისების მწირი, ბავშვზე მოურგებელი ჩამო-ნათვალი, რომელიც ბავშვს, დანაშაულის გააზრებისთვის, სახელმწიფომ უნდა გამოუყოს. სხვაგვარად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მხოლოდ მონაცემებს ვითვლით, რომლის თანახმად, დადებითი შეფასების საგანი ხდება განრიდების მექანიზმში ჩართული ბავშვების მეტი რაოდენობა, რაც ცალსახად არასწორია.

2019 წელს, 2018 წელთან შედარებით, განრიდების ზოგადი მაჩვენებელი შემცირებულია, როგორც არასრულწლოვან, ისე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებში. 2019 წელს

განრიდებულია 437 არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე ასაკის 360 პირი. 2018 წელს კი - 497 არასრულწლოვანი და 18-დან 21 წლამდე 400 პირი<sup>39</sup>.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით, 2019 წლის მდგომარეობით არასრულწლოვან და 18-21 წლის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე მედიაციის მაჩვენებელი 54%-ია იმ საქმეების საერთო რაოდენობასთან მიმართებით, რომლებშიც ფიგურირებდა დაზარალებული. მედიაციის მაჩვენებელი ცალ-ცალკე არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ კი შემდეგია: 437 განრიდებული არასრულწლოვანიდან დაზარალებული ჰყავდა 419 არასრულწლოვნის საქმეს, მედიაციით კი წარიმართა 254 არასრულწლოვნის განრიდების პროცესი. ამდენად, მედიაციის მაჩვენებელი

2019 წელს არასრულწლოვანთა მიმართ 61%-ია. 360 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებული პირიდან, დაზარალებული ჰყავდა 337 პირის საქმეს, მედიაციით კი წარიმართა 154 პირის განრიდების პროცესი. ამდენად, 18-დან 21 წლის პირთა მიმართ განრიდების მაჩვენებელი 46%-ია. აღსანიშნავია, რომ მედიაციის პროცესი 9 შემთხვევაში პროკურორის შეცდომით ჩაიშალა - მიუხედავად საქმეზე დაზარალებულის არსებობისა, საქმე მედიაციით წარმართვის მიზნით არ გადამისამართდა დანაშაულის პრევენციის ცენტრში<sup>40</sup>.

ამ და სხვა მონაცემთა ანალიზით, ნათელია, რომ ქვეყანაში კვლავ პრობლემურია სახელმწიფოს მიერ პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვა და გატარება, არასრულწლოვანთა სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით. შესაბამისად, აუცილებელია მსგავს და სხვა რელევანტურ მონაცემთა გათვალისწინებით დაიგეგმოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის სხვადასხვა სახის სოციალური და სარეაბილიტაციო ღონისძიებები, პრევენციული აქტივობები, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ რეციდივის რისკების შემცირებისთვის, არამედ ადრეული პრევენციისთვისაც.

### 6.3.1. **პრევენციული მონაცემები**

ტოკიოს წესების<sup>41</sup> 5.1 წესის თანახმად, „სადაც შესაფერისია და შეთავსებადია სამართლებრივ სისტემასთან, პოლიციას, პროკურატურას ან სხვა უწყებებს, რომელთა საქმიანობა ეხება სისხლის სამართლის საქმეებს, უნდა მიეცეთ უფლება, დამნაშავეს მოუხსნან ბრალი (შეწყვიტონ საქმის წარმოება), თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფის, დანაშაულის პრევენციის, კანონის პატივისცემისა და მსხვერპლთა უფლებების დაცვის ხელშეწყობისათვის არ არის აუცილებელი საქმის წარმოების გაგრძელება“. იმავეს განამტკიცებს „პეკინის წესების“<sup>42</sup> მე-11 წესი, რომელიც კრძალავს ყველანაირ ჩარევას იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული არ არის მძიმე და თუ სათანადო და კონსტრუქციული რეაგირება უკვე მოახდინა ან სავარაუდოდ მოახდენს ოჯახი, სკოლა თუ საზოგადოებრივი კონტროლის სხვა არაფორმალური ინსტიტუტი.

<sup>39</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურა, „არასრულწლოვანთა განრიდება მედიაციის პროგრამის ანალიზი“, გვ. 56, 2020 წელი. იხ. <http://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted.pdf>;

<sup>40</sup> იქვე. გვ. 56-57.

<sup>41</sup> ტოკიოს წესები;

<sup>42</sup> პეკინის წესების წესი 11, კომენტარი.

მნიშვნელოვანია, საპოლიციო უწყების თანამშრომელთა ნებისმიერი ჩარევა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით წარიმართოს. შესაბამისად, არჩევითი ჩარევის ეფექტიანობის გასაზრდელად, აუცილებელია პოლიციელთა მხრიდან კომუნიკაციის გაზრდა ოჯახთან, სკოლასთან თუ სხვა არაფორმალურ ინსტიტუტთან, რომელსაც შესაძლებლობა აქვს მოახდინოს რეაგირება არასრულწლოვნის ქცევაზე, სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების გარეშე.

### 6.3.2. წინასწარ გაფრთხილება

საპოლიციო უწყებას შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს „წინასწარი გაფრთხილება“, როგორც სასჯელის ალტერნატიული ფორმა. ასეთ დროს, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან, სიტყვიერი ან წერილობითი გაფრთხილების გამოყენებას შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული ბავშვის აღმზრდელობით პროცესში.

„წინასწარი გაფრთხილება“, ერთი მხრივ, სასჯელის ალტერნატიული ზომაა, რომელიც მოზარდს არიდებს სამართალდამცავ უწყებებთან და სასამართლოსთან შემდგომ შემხებლობას, მაგრამ ამავედროულად თავად გაფრთხილებას აღმზრდელობითი ფუნქცია გააჩნია, რომელიც ასევე პრევენციულ ღონისძიებად შეიძლება განისაზღვროს.

აუცილებელია, სამართალდამცავთა მიერ წინასწარი გაფრთხილების გამოყენების გაზრდა, რათა ისეთ შემთხვევებში, როცა ბავშვის, სკოლისა და ოჯახის ან სხვა არაფორმალური აქტორების მეშვეობით მიზნის მიღწევის შემთხვევაში, მაქსიმალურად გამოირიცხოს არასრულწლოვნისა და სამართალდამცავთა თუ სასამართლოს ურთიერთშემხებლობა. აუცილებელია, შეიქმნას „წინასწარი გაფრთხილების“ როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სისტემა და გაიზარდოს მისი პრაქტიკული გამოყენება, როგორც სასჯელის ალტერნატიული ზომა.

## 7. წინასასამართლო სხდომა

საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების თანახმად, არასრულწლოვანთა უფლებები დაცული უნდა იყოს როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის განხილვის პერიოდში და გამოტანილი იქნეს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით ვალისწინებს არასრულწლოვანთა საქმეების წარმოების განსხვავებულ წესს, რომლის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად განისაზღვრა საქმისმწარმოებელ პირთა მიერ მოზარდის ბუნების კარგად ცოდნა და საქმისმწარმოების დროს მისი მაქსიმალურად გათვალისწინება, რათა დაცული იქნეს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები. ამასთანავე, ამკ განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც სავალდებულო წესით უნდა მონაწილეობდნენ მართლმსაჯულების პროცესში.

არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვას აწესრიგებს ამკ-ის მე-17 მუხლი<sup>43</sup>. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე, ხოლო თუ საქმე კოლეგიურად განიხილება – სასამართლო კო-

<sup>43</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-17 მუხლი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>;

ლეგია, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა. ხოლო სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს სასამართლო პალატა, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, პალატის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა. ამასთან, სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვის დროს შექმნას არასრულწლოვნისთვის კეთილგანწყობილი გარემო, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადაპტირებული გარემოს შექმნას. მაგ., მოსამართლემ არ ჩაიცვას მანტია; ბავშვი იჯდეს მშობლის ან სხვა სათანადო უფროსის გვერდით და ა.შ.<sup>44</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაულის 1 შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე არასრულწლოვანი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არაუმეტეს 6 თვისა<sup>45</sup>. თუმცა პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები იშვიათია და როგორც წესი წინასასამართლო სხდომა ინიშნება 40 დღის ვადაში. წინასასამართლო სხდომის მოკლე ვადაში დანიშვნა და საქმის დროული წარმართვა სასამართლოში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობს. თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით<sup>46</sup>

თუ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ<sup>47</sup>.

რაც შეეხება განრიდებას, იგი შეიძლება, გამოყენებულ იქნეს აგრეთვე საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგ. სასამართლო უფლებამოსილია, განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე ან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე და საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს<sup>48</sup>.

<sup>44</sup> იხ. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო)“, მეორე გამოცემა, მორის შალიკაშვილი, გივი მიქანაძე, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წ;

<sup>45</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>.

<sup>46</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>;

<sup>47</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მე-3 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>;

<sup>48</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>.

## 8. მსჯავრდებული/ბრალდებული არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი

2020 წლის აგვისტოში N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტები განხორციელეს არასამთავრობო ორგანიზაციების - ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRC) და „ციხის საერთაშორისო რეფორმის“ (PRI) წარმომადგენლებმა, საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებთან ერთად. მონიტორინგი მოიცავდა #8 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული და ბრალდებული არასრულწლოვნების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს. პენიტენციური დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში ვიზიტი განხორციელდა ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტმა, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის დეპარტამენტის თანამშრომელთან ერთად. ვიზიტისას მონიტორინგის პროცესში გამოკითხვა ჩატარდა სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან ერთად შემუშავებული კითხვარებით. ვიზიტი განხორციელდა ადმინისტრაციის წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მონიტორინგმა გამოკითხეს არასრულწლოვნების განყოფილებაში განთავსებული ბრალდებული და მსჯავრდებული პირები და მათთან მომუშავე პერსონალი. მონიტორინგის ფარგლებში, ასევე, ჯგუფმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია.

მონიტორინგის მსვლელობისას დათვალიერდა #8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული უსაფრთხო საკნები და დეესკალაციის ოთახები; შემოწმდა დეესკალაციისა და უსაფრთხო საკნებში მოთავსებულ პირთა ჟურნალები (2020 წლის მდგომარეობით); ამასთან, შედგა ინტერვიუ დაწესებულების პერსონალთან. მონიტორინგის მიზნებისთვის, სპეციალური ინსტრუმენტის გამოყენებით გამოიკითხა 15 არასრულწლოვანი.

COVID-19-ის გავრცელების საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მონიტორინგები დაწესებულებაში დაიშვებოდნენ სრული დამცავი ეკიპირებით, შესაბამისი შემოწმების პროცედურების გავლის შემდეგ.<sup>49</sup>

<sup>49</sup> მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ხელისუფლების ვალდებულებების მონიტორინგი და ხელშეწყობა პენიტენციურ და პრობაციის სფეროში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით“ და საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „პენიტენციური დაწესებულებების მონიტორინგი საქართველოში“ ფარგლებში. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი პრობლემების, მიგნებებისა და ტენდენციების შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და „ციხის საერთაშორისო რეფორმა“. შესაბამისად, ამ ანგარიშში მოცემული მოსაზრებები არცერთ ვითარებაში არ შეიძლება ჩაითვალოს დონორი ორგანიზაციების ან სახალხო დამცველის აპარატის პოზიციის გამომხატველად.

## 8.1. არასრულწლოვანი პატიმრები

### 8.1.1. მიღება – განთავსება

მონიტორინგის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ ერთად ხდება ბრალდებული და მსჯავრდებული არასრულწლოვნების განთავსება.

„ნელსონ მანდელას წესების“ თანახმად, სოციალური რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, პატიმრები უნდა განთავსდნენ თავიანთ სახლებთან/საცხოვრებლებთან ახლომდებარე დაწესებულებაში<sup>50</sup>. რამდენადაც შესაძლებელია, პატიმრებთან უნდა ჩატარდეს კონსულტაცია მათი საწყისი განთავსების ადგილის შესახებ, ასევე ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში შემდგომი გადაყვანისას. ციხის ევროპული წესების თანახმად, კონკრეტულ ციხეში ან ციხის კონკრეტულ განყოფილებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს, რომ: ა)წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოათავსონ<sup>51</sup>. იგივე პრინციპია გაცხადებული საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილშიც<sup>52</sup>. მიუხედავად ამისა, N8 დაწესებულებაში ბრალდებულები და მსჯავრდებულები ერთად არიან საკნებში განთავსებული. გარდაამისა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიღების პროცედურები არა მარტო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, არამედ უნდა ითვალისწინებდეს ადამიანის ღირსების სათანადო დაცვასაც, რაც, მოცემულ შემთხვევაში, არ არის თანხვედრაში საერთაშორისო სტანდარტებთან.

**რეკომენდაცია:** დაცვისა და სათანადო ინდივიდუალური მოპყრობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გარკვეული ჯგუფები მოთავსდნენ ერთმანეთისგან განცალკევებით. ეს ეხება როგორც ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს, ისე არასრულწლოვან და სრულწლოვან პატიმრებს.

### 8.1.2. ე.წ. სრული შემოწმება

მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციით, პენიტენციურ დაწესებულებაში არასრულწლოვნების თავდაპირველად შეყვანისას ხდება მათი შემოწმება, როგორც სამედიცინო მიზნებისთვის ექიმის მიერ, ისე უსაფრთხოების მიზნით დაწესებულების თანამშრომლის მიერ. ასევე, ამ შემოწმებების შემდეგ ხდება არასრულწლოვნების სკანერით შემოწმებაც, მაგრამ ეს არა ძირითად, არამედ დამატებით პროცედურას წარმოადგენს. კვლავ მწვავე პრობლემად რჩება უსაფრთხოების მიზნით არასრულწლოვნების შემოწმება სრული გაშიშვლებით. თანამშრომლის მითითებით ბავშვებს, ასევე, უწევთ საცვლის ჩაწევა და ბუქნის გაკეთება. პრობლემაა ისიც, რომ, უმეტეს შემთხვევებში, ექიმის მიერ არასრულწლოვნების პირველადი სამედიცინო შემოწმების პროცესს ესწრებოდა დაწესებულების თანამშრომელი.

ბანგოკის წესების თანახმად, სხეულის აგრესიული (ინვაზიური) ჩხრეკა უნდა ჩაანაცვლოს შემოწმების ისეთმა ალტერნატიულმა მეთოდებმა, როგორცაა სკანირება,

<sup>50</sup> იხ. „მანდელას წესები“, წესი 59. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>51</sup> იხ. ციხის ევროპული წესები, წესი 18.1. <https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae>;

<sup>52</sup> იხ. საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34>.

რათა თავიდან იქნეს აცილებული მათგან მიღებული საზიანო ფსიქოლოგიური და შესაძლო ფიზიკური გავლენა<sup>53</sup>.

„ნელსონ მანდელას წესებში“, რომელიც განსაზღვრავს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს, ასახულია ციხის ეფექტიანი მართვის, მათ შორის პატიმართა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მინიმალური სტანდარტები. იგი მოიცავს ციხის მართვის ყველა ასპექტს და აწესებს პატიმართან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტებს როგორც ბრალდებული, ასევე მსჯავრდებული პატიმრებისთვის. აღნიშნული წესები გამოიყენება პირის მიღებიდან მის გათავისუფლებამდე<sup>54</sup>.

„მანდელას წესების“ 1-ლი წესი ცხადყოფს, რომ „ყველა პატიმართან მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მათი, როგორც ადამიანის, თანდაყოლილი ღირსებისა და ფასეულობის პატივისცემას“<sup>55</sup>. გარდა ამისა, მანდელას წესები გასცემს სახელმძღვანელო მითითებებს, თუ როგორ უნდა გაიჩხრიკოს და შემოწმდეს პატიმრები და საკნები იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ციხის დაწესებულების სათანადო წესრიგი და ამავდროულად, დაცული იყოს ამ პირების ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები. წესები ასევე განმარტავს სამედიცინო პერსონალის როლს სხეულის სიღრმისეული შემოწმების განხორციელების პროცესში<sup>56</sup>. ჩხრეკა უნდა ტარდებოდეს ჩხრეკის ობიექტის, ადამიანური ხელშეუვალი ღირსებისა და პირადი ცხოვრების პატივისცემით, თანაზომიერების, კანონიერებისა და აუცილებლობის პრინციპების დაცვით<sup>57</sup>.

CPT-ის სტანდარტების თანახმად, სრული შემოწმების ჩატარება მხოლოდ კონკრეტული ექვის საფუძველზე უნდა მოხდეს<sup>58</sup>. პირადი სრული შემოწმება მხოლოდ მაშინ უნდა ჩატარდეს, როცა არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პატიმარი შეიძლება, მაღავდეს ნივთებს, რითაც საფრთხეს შეუქმნის საკუთარ თავს ან შეიძლება იყოს დანაშაულის ჩადენის მტკიცებულება და აუცილებელია ასეთი შემოწმების ჩატარება, ვინაიდან ჩვეულებრივი შემოწმებით ამ ნივთების პოვნა, სავარაუდოდ, ვერ იქნება შესაძლებელი. სხეულის შემოწმების ინვაზიური ბუნებიდან გამომდინარე, სრული შემოწმება შესაძლებელია, იყოს დამთრგუნველი ან დამამცირებელი ყველა დაკავებულისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრის სხეულის სრული შემოწმება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მკაცრად აუცილებელია დაწესებულებაში, პატიმრებისა და გარშემომყოფთა უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველსაყოფად<sup>59</sup>.

<sup>53</sup> იხ. გაეროს გენერალური ასამბლეა, გაეროს ქალ პატიმართა მოპყრობისა და მსჯავრდებულ ქალთა არასაპატიმრო ღონისძიებების შესახებ წესები (ბანგკოკის წესები) წესი 19, 20, 2010 წლის 6 ოქტომბერი, A/C.3/65/L.5.

<sup>54</sup> იხ. „მანდელას წესები“, წესი 1. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf).

<sup>55</sup> იხ. „მანდელას წესები“, წესი 1. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>56</sup> იხ. „მანდელას წესები“, წესი 52. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>57</sup> იხ. „მანდელას წესები“, წესი 50. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>58</sup> იხ. წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT), ანგარიში ბულგარეთის მთავრობისადმი წამების პრევენციის კომიტეტის ბულგარეთში 2002 წელს განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2004) 21, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2004, პუნქტი-119. <https://www.coe.int/en/web/cpt/-/council-of-europe-anti-torture-committee-publishes-two-reports-on-bulgaria>;

<sup>59</sup> იხ. წამების პრევენციის ასოციაცია (APT). [http://www.apr.ch/detention-focus/en/detention\\_issues/6/](http://www.apr.ch/detention-focus/en/detention_issues/6/).

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილი და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ითვალისწინებენ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა პირად შემოწმებას. პენიტენციური დაწესებულებების დებულებები აკონკრეტებენ, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი შემოწმება შეიძლება იყოს არასრული და სრული. ბრალდებულის პირადი არასრული შემოწმება ტარდება, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ფოტოდაქტილოსკოპთან, ექიმთან, გამომძიებელთან წარდგენამდე და წარდგენის შემდეგ; ახლო ნათესავებთან ან სხვა პირებთან შეხვედრამდე და მის შემდეგ; სხვა საკანში გადაყვანისას; ასევე, სხვა შემთხვევებში დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების საფუძველზე. გარდა ამისა, აგრეთვე, პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებით, სრული შემოწმება შესაძლებელია, განხორციელდეს სხვა შემთხვევებშიც.

**ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები ბლანკეტურ ხასიათს ატარებენ. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს სრული შემოწმების რუტინულად განხორციელების შესაძლებლობას და ის დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპების გათვალისწინებით. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ სრული შემოწმება განხორციელდეს გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით. ეს კი, მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს ადამიანის პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევა.**

რაც შეეხება ბავშვთა გაშიშვლებით შემოწმების საკითხს, “ნელსონ მანდელას წესების” შესაბამისად, სხეულის სრული შემოწმება მაქსიმალურად უნდა იქნეს არიდებული მნახველების შემთხვევაში და ის არ უნდა გამოიყენებოდეს ბავშვების მიმართ<sup>60</sup>.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ სხეულის გაშიშვლებით და ინვაზიური შემოწმების პროცედურები მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული კანონით. განსაკუთრებით ბავშვი პატიმრების ჩხრეკისა და შემოწმებისას უნდა არსებობდეს კონკრეტული მითითებები. გარდა ამისა, სრული შემოწმების გარდა, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კანონმდებლობით ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული სრული შემოწმება და შინაგანი შემოწმება და არ არის დადგენილი თითოეულის გამოყენების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები.

## 8.2. უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმირება

### 8.2.1. დანესახებულ საკანონმდებლო აქტებში არსებული რეგულაციები და დისციპლინური სამართალწარმოება

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ N8 დაწესებულებაში არასრულწლოვნების შეყვანისას, მათ არ განემარტება უფლება-მოვალეობები. ასევე, ბავშვები არ არიან ინფორმირებულნი დაწესებულებაში მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოთხოვნა-საჩივრის დაწერის მექანიზმის შესახებ.

<sup>60</sup> იხ. „ნელსონ მანდელას წესები“, წესი 60(2). [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf).



„ნელსონ მანდელას წესების“ 54-ე წესში დეტალურადაა მითითებული იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს ნებისმიერ პატიმარს. წესები ცალსახად აღიარებს ნებისმერი პატიმრისთვის დაწესებულებებში მიღებისთანავე რელევანტური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას, მიუხედავად მათი სამართლებრივი სტატუსისა<sup>61</sup>. შესაბამისად, წინასწარ პატიმრობაში მყოფმა პატიმრებმა უნდა მიიღონ იგივე ინფორმაცია, რაც მსჯავრდებულმა პატიმრებმა. 54-ე წესის თანახმად, პატიმრები ასევე ინფორმირებულნი უნდა იყვნენ ე.წ. „ციხის კანონის“ და „ციხის შინაგანაწესის“ თაობაზე. ეს მოიცავს ყველა იმ რეგულაციას, რომელიც უკავშირდება პატიმართა უფლებებსა და მოვალებებს, მათ შორის, მაგალითად, ციხის თანამშრომლების მიერ ძალის და შემაკავებელი საშუალებების გამოყენების წესს. ხოლო 55-ე წესი აზუსტებს პატიმრებისთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმას. ციხის ხელმძღვანელი პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ ყველა პატიმრისთვის ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე და ფორმატში<sup>62</sup>.

ევროპული ციხის წესების თანახმად, მიღებისას და შემდგომ, საჭიროებისამებრ, პატიმრებს ხშირად უნდა ეცნობოთ წერილობით და ზეპირად, მათთვის გასაგებ ენაზე თავიანთი უფლებების, მოვალეობებისა და ციხის დისციპლინის მარეგულირებელი წესების შესახებ<sup>63</sup>. პატიმრებს უნდა მიეცეთ საშუალება თავიანთ საკუთრებაში იქონიონ მათთვის მიწოდებული ინფორმაციის წერილობითი ვერსია<sup>64</sup>.

ამასთან, „ნელსონ მანდელას წესების“ შესაბამისად, მიწოდებული ინფორმაცია უნდა ითვალისწინებდეს დადებითი ღონისძიებების შესახებ პატიმრების ინფორმირებას, რაც მიზნად უნდა ისახავდეს შესაძლო პრობლემების პრევენციას<sup>65</sup>.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პატიმრობის კოდექსის თანახმად, დაწესებულებაში მოხვედრილ ბრალდებულს/მსჯავრდებულს პასუხისმგებელმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მისცეს საშუალება, გაეცნოს წერილობით ინფორმაციას თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლებისა და გასაჩივრების კანონით გათვალისწინებული წესის თაობაზე<sup>66</sup>. ასევე, წერა-კითხვის უცოდინარ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს ზეპირი ფორმით, რის შესახებაც უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებს ბრალდებული/ მსჯავრდებული<sup>67</sup>.

<sup>61</sup> იხ. „მანდელას წესები“, წესი 54. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>62</sup> იხ. „მანდელას წესები“, წესი 55. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>63</sup> იხ. ციხის ევროპული წესები, წესი 30.1. <https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae>;

<sup>64</sup> იხ. ციხის ევროპული წესები, წესი 30.2. <https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae>;

<sup>65</sup> იხ. „მანდელას წესები“, წესი 54. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>66</sup> იხ. საქართველოს პატიმრობის კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34>; [gov.ge/ka/document/view/91612?publication=34](https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34);

<sup>67</sup> იხ. საქართველოს პატიმრობის კოდექსის 97-ე მუხლის მე-2 ნაწილი. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=34>.

**რეკომენდაცია:** მიღებისას, ნებისმიერ პატიმარს დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს შემდეგი სახის წერილობითი ინფორმაცია: (ა) კანონი ციხეების შესახებ და ციხის შინაგანაწესი; (ბ) მისი უფლებები, ინფორმაციის მოძიების კანონიერი გზები, სამართლებრივ დახმარებაზე წვდომა, მათ შორის უფასო იურიდიული დახმარების გზით და განცხადების ან საჩივრის წარდგენის პროცედურები; (გ) მისი ვალდებულებები და დისციპლინური სასჯელების შესახებ.

## 8.2.2. უსაფრთხო საკანში და დენსკალასიის ოთახში მოთავსება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნების და ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვის პრიორიტეტულობის მიუხედავად, მონიტორინგისას N8 დაწესებულებაში დაფიქსირდა უსაფრთხო საკნებში არასრულწლოვანების მოთავსების შემთხვევები. ადმინისტრაციის განმარტებით, ბავშვებს შორის დაპირისპირების დროს დაწესებულების თანამშრომლები ცდილობენ, სიტუაცია დაამშვიდონ ლაპარაკის გზით ან არასრულწლოვანისთვის საკნის გამოცვლით. თუმცა, მონიტორინგის მიმდინარეობისას არასრულწლოვანი იყო უსაფრთხო საკანში მოთავსებული, იმ მიზეზით, რომ მას კონფლიქტი მოუვიდა თანასაკნელთან. N 8 დაწესებულებაში, ნულოვან სართულზე, სამართლო საკნებს შორის განთავსებულ უსაფრთხო საკნებში, სრულწლოვანი პატიმრების განცალკევებით ხდება არასრულწლოვანების მოთავსებაც. წამების პრევენციის კომიტეტის სტანდარტები არასრულწლოვანებთან დაკავშირებით, თანხვედრაშია საერთაშორისო ნორმებით განსაზღვრულ წესებთან და განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანი უნდა განთავსდნენ სპეციალურად მათთვის არსებულ დაწესებულებაში, მაგრამ თუკი მაინც განათავსებენ ზრდასრულთა დაწესებულებაში, ეს უნდა მოხდეს ცალკე განყოფილებაში. ამასთან, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული მათ განსაცალკევებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათ შორის არასასურველი გავლენები, დომინირება და დამცირება<sup>68</sup>.

მონიტორინგის პროცესში გაირკვა, რომ უსაფრთხო საკანში ბეტონით ამოშენებულ დასაწოლზე, ზემოდან დაკრულ ხეზე დაგებულია ლეიბი. ერთ პატიმარზე განკუთვნილ უსაფრთხო საკანში არსებულ არადამაკმაყოფილებელ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან ერთად, არის ნესტი. საკანში ჩამონტაჟებული ფანჯარა, არახილვადი მინით, რომელიც ვერ ქმნის საკმარის ბუნებრივ განათებას. საკნის ბუნებრივი ვენტილაცია არ ხდება, ხოლო ხელოვნური ვენტილაცია არასაკმარისია. საკანში დამონტაჟებული ვიდეოკამერა ფარავს მთელი საკნის არეალს, მათ შორის - ტუალეტის ნიჟარას. საკანში დგას მხოლოდ ერთი დაქანგებული, დაზიანებული და დაბინძურებული ანტივანდალური უნიტაზი, ზემოდან ხელსაბანით.

გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ ადგენს, რომ ადგილი, რითაც სარგებლობენ პატიმრები, განსაკუთრებით - საძინებელი ოთახი, სრულად უნდა პასუხობდეს სანიტარულ მოთხოვნებს. ამასთან, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კლიმატურ პირობებს, განსაკუთრებით ჰაერის კუბურ მოცულობას, მინიმალურ ფართობს, განათებას, გათბობას და ვენტილაციას<sup>69</sup>. ყველა დაწესებულებაში, სადაც ცხოვრობენ და მუშაობენ პატიმრები: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისი ზომის, რათა პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა დღის შუქზე და უნდა

<sup>68</sup> იხ. არასრულწლოვანებთან დაკავშირებით წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის პრევენციის კომიტეტის სტანდარტი, მუხლი 103.

<sup>69</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესი 13. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-book.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-book.pdf);

იყოს ისე კონსტრუირებული, რომ უზრუნველყოს სუფთა ჰაერის მიწოდება, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ვენტილაციის ხელოვნური სისტემა; ხელოვნური განათება საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ პატიმრებს შეეძლოთ კითხვა და მუშაობა მხედველობის გაუარესების საფრთხის გარეშე<sup>70</sup>. „წევრი ქვეყნების მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/REC(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის“ განსაზღვრავს მნიშვნელოვან სტანდარტებს არასრულწლოვნებთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ რეკომენდაციის თანახმად, არასრულწლოვნები შეუფერხებლად უნდა სარგებლობდნენ აბაზანა-ტუალეტებით, რომლებიც ჰიგიენურია და იძლევა განმარტოების საშუალებას<sup>71</sup>. ამასთან, უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვანმა ყოველდღიურად მიიღოს კლიმატისთვის შესაფერი ტემპერატურის აბაზანა ან შხაპი. არასრულწლოვნებმა უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენა, სისუფთავეში იქონიონ საკუთარი ტანსაცმელი და საძინებელი, ხოლო ხელმძღვანელობამ უნდა ასწავლოს მათ, როგორ მიაღწიონ ამას და მოამარაგონ ისინი აუცილებელი საშუალებებით<sup>72</sup>.

**რეკომენდაცია:** აუცილებელია, დეესკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის - რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით; რბილი საწოლის განთავსებით. ამასთან, პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში უნდა მოხდეს სათანადო სანიტარული ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, განათება და ვენტილაცია.

### 8.2.3. ბანათლება-რეაბილიტაცია

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს, მიიღოს სრული ზოგადი განათლება. არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა<sup>73</sup>. გარდა ამისა, საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებით, გარკვეულ სტანდარტებს ადგენს ასევე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 45/113 რეზოლუციით მიღებული „წესები თავისუფლებადაცვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ (ჰავანის წესები)<sup>74</sup>. არასრულწლოვანთა დაწესებულებები ინტეგრირებული უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში. არასრულწლოვანთა დაწესებულებებში შესაძლებელი უნდა იყოს სარეაბილიტაციო მიზნების განხორციელება, არასრულწლოვანთა პრივატულობის დაცვა, თანატოლებთან ურთიერთობა, სპორტულ, ფიზიკურ, თავისუფალი დროის დაგეგმვის აქტივობებში მონაწილეობა.

<sup>70</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესი 14. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>71</sup> იხ. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის“, მუხლი 65. <https://www.refworld.org/pdfid/4a7058c02.pdf>;

<sup>72</sup> იხ. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესების შესახებ სანქციებს ან ზომებს დაქვემდებარებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევებისათვის“, მუხლი 24. <https://www.refworld.org/pdfid/4a7058c02.pdf>.

<sup>73</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 84. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>;

<sup>74</sup> იხ. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია თავისუფლებადაცვეთილ არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ („ჰავანის წესები“), წესი 28; [https://www.unodc.org/pdf/criminal\\_justice/United\\_Nations\\_Rules\\_for\\_the\\_Protection\\_of\\_Juveniles\\_Deprived\\_of\\_their\\_Liberty.pdf](https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/United_Nations_Rules_for_the_Protection_of_Juveniles_Deprived_of_their_Liberty.pdf);

„მანდელას წესების“ თანახმად კი ციხეებმა უნდა უზრუნველყონ განათლება, პროფესიული სწავლება და მუშაობა, ასევე ნებისმიერი სხვა სახის დახმარება, რომელიც საჭიროა რეაბილიტაციის, რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციისთვის. ეს ემსახურება პატიმრობის გამოყენების უპირველეს მიზანს - საზოგადოების დაცვისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის შემცირებას. ამგვარი პროგრამების წარმატებისთვის, საჭიროა მათი ინდივიდუალური მორგება (ინდივიდუალიზაცია). ციხე უნდა აღიარებდეს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც მის თანამშრომლებს აკისრიათ პატიმართა რეაბილიტაციის პროცესში<sup>75</sup>. ყველა არასრულწლოვან პატიმარს, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო განათლების გავლას, ხელი უნდა მიუწვდებოდეს ასეთ განათლებაზე<sup>76</sup>.

N8 დაწესებულებაში არ ფუნქციონირებს სკოლა, რომელიც ერთ კონკრეტულ საჯარო სკოლასთან იქნებოდა აფილირებული. დაწესებულებაში არასრულწლოვნისთვის იხსნება სპეციალური ჟურნალი იმ სკოლაზე, სადაც იგი დაკავებამდე იყო ჩარიცხული და მასწავლებლები, რომლებიც დაწესებულებაში არასრულწლოვნებთან ატარებენ გაკვეთილებს, სკოლების მიხედვით აგზავნიან სპეციალურ ჟურნალში არსებულ ჩანაწერებს. არსებული სტატისტიკური მონაცემებით, 2020 წლის ივლისის თვეში, N8 დაწესებულებაში 13 არასრულწლოვანი ირიცხებოდა საჯარო სკოლაში, 5-ს წარმატებულად ჰქონდა დასრულებული სასწავლო პროცესი, ხოლო 2-ს - წარუმატებლად; აგრეთვე, 1 აბიტურიენტი ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობდა. თუმცა, აგვისტოს დასაწყისში ჩატარებული მონიტორინგის პერიოდში N 8 დაწესებულებაში კოვიდ 19-ის გავრცელებასთან ბრძოლის მიზნით არასრულწლოვნებისთვის შეჩერებული იყო ყველა სახის საგანმანათლებლო და სარეაბილიტაციო პროგრამები. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებული საგანმანათლებლო პროცესების და შედეგების შესახებ. გარდა ამისა, ბავშვებმა არ იცოდნენ საპატიმრო დაწესებულებაში სკოლის დამთავრების შემთხვევაში, რომელი სკოლის ატესტატს მიიღებენ და იქნება თუ არა მისი პატიმრობის ფაქტი დაფიქსირებული.

**რეკომენდაცია:** აუცილებელია, არასრულწლოვნებს დაწვრილებით მიეწოდოს განათლების მიღებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაცია. საჭიროა ასევე, სოციალური მუშაკების მუშაობის აღდგენა და მათი ჩართულობა, რათა არასრულწლოვნებს აუმაღლონ სწავლის მოტივაცია.

### 8.3. საპატიმრო პირობები

საყოფაცხოვრებო პირობებს ეხება გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ე.წ. „მანდელას წესები“). როგორც „მანდელას წესები“, ასევე ევროპული ციხის წესები მიუთითებს, რომ მათი გამოყენება უნდა მოხდეს ყველა პატიმრის მიმართ ნებისმიერი ფორმით მათი დისკრიმინაციის გარეშე. ციხის ადმინისტრაცია ვალდებულია, საყოფაცხოვრებო პირობები და სხვა ასპექტები მთავრად ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, რათა უზრუნველყოს მათი სრული, ეფექტური და თანაბარი

<sup>75</sup> გაეროს განახლებული მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ („ნელსონ მანდელას წესები“), წესები 4, 88, 89, 91-94, 96-108. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>76</sup> იხ. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2-rev წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით 35-2 [https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectId=09000016809ee581](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016809ee581).

წვდომა ციხის ცხოვრებაზე<sup>77</sup>. ამასთან, პატიმრობის დაწესებულების/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მომსახურება, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული, უნდა აკმაყოფილებდეს მისი ჯანმრთელობის დაცვის და ღირსების პატივისცემის მოთხოვნებს<sup>78</sup>. არასრულწლოვნები, რომელნიც მოთავსებულნი არიან წინასწარი პატიმრობის ადგილებში, უნდა მოათავსონ სრულწლოვანი პატიმრებისაგან განცალკევებით, აგრეთვე იმ დაწესებულების სპეციალურ განყოფილებაში, სადაც იმყოფებიან სრულწლოვანი პატიმრები. წინასწარი პატიმრობის მთელ პერიოდში არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს მოვლით, დაცვით და აუცილებელი ინდივიდუალური დახმარებით - სოციალური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ფიზიკური, ასევე - დახმარებით განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში, რაც მათ შეიძლება დასჭირდეთ ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით<sup>79</sup>.

N8 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში 9 საცხოვრებელი საკანია, თითო საკანი - ოთხადგილიანი. საცხოვრებელი საკნების გარდა არასრულწლოვანთა განყოფილებაში, ასევე, არის ორი სასეირნო ტერიტორია, ერთი საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, ერთი სავარჯიშო ოთახი, ექიმის კაბინეტი, ორი ინდივიდუალური შეხვედრების ოთახი, საიდანაც ამჟამად ერთი ოთახის გამოყენება ხდება დაწესებულების თანამშრომლებისთვის. სასეირნო სივრცეებში განთავსებულია სათამაშო ინვენტარი. სავარჯიშო ოთახში, სადაც სამი მულტიტრენაჟორია, ბავშვებს შესვლა შეუძლიათ მხოლოდ შაბათ-კვირას, დღეში ერთხელ.

მონიტორინგის პერიოდში N8 დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში ცხელოდა, ვინაიდან არსებული ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია არასაკმარისია. ასევე, საკნებში ბუდობენ ტარაკნები, რაც ბავშვებს დიდ დისკომფორტს უქმნის. საცხოვრებელი საკნების დეზინფექცია ხდება მხოლოდ თვეში ერთხელ. დაწესებულებაში არსებული დღის განრიგის მიხედვით, არასრულწლოვნები დღის განმავლობაში სარგებლობენ ერთი საათი გასეირნების უფლებით, დრო ემატებათ ასევე ვარჯიშისთვის და თამაშისთვის. საშხაპით სარგებლობა შეუძლიათ კვირაში სამჯერ. ასევე შეუძლიათ ისარგებლონ დალაქის მომსახურებით. არასრულწლოვნებს დაწესებულებაში საკვებს აწვდიან და დალაქის მომსახურებას უწევენ სამეურნეო სამსახურში დასაქმებული სრულწლოვანი პატიმრები. ასევე, არასრულწლოვან პატიმრებს სრულწლოვან პატიმრებთან კონტაქტი აქვთ, როცა ხდება მათი პაემანზე გადაყვანა ან სასამართლო პროცესზე გაყვანა.

**რეკომენდაცია:** გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ ადგენს, რომ ამ წესებში განხილული ზოგადი საცხოვრებელი პირობები, მათ შორის - განათებასთან, ვენტილაციასთან, ტემპერატურასთან, სანიტარიასთან, კვებასთან, სასმელ წყალთან, სუფთა ჰაერსა და ფიზიკურ ვარჯიშთან, პირად ჰიგიენასთან, ჯანდაცვასა და ადეკვატურ პირად სივრცესთან დაკავშირებული წესები გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ციხეში, გამონაკლისის გარეშე<sup>80</sup>.

<sup>77</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესი 5. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>78</sup> იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 79. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281?publication=16>;

<sup>79</sup> იხ. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები („პეკინის წესები“) წესი 13.3-13.4. <https://bit.ly/2GrYOEL>.

<sup>80</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესი 42. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ, უმოკლეს ვადებში უნდა აღმოფხვრას ამ მხრივ არსებული პრობლემური საკითხები და მოიყვანოს იგი საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობაში.

#### 8.4. ჯანდაცვა

„ნელსონ მანდელას“ წესების თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს პატიმრების ჯანმრთელობაზე. პატიმრები უნდა სარგებლობდნენ ჯანდაცვის სფეროს იმავე სტანდარტების მომსახურებით, რაც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. მათ უნდა ჰქონდეთ სამედიცინო მომსახურებაზე წვდომა უფასოდ და სამართლებრივი სტატუსის გამო დისკრიმინაციის გარეშე<sup>81</sup>. როდესაც სახელმწიფო პირს თავისუფლებას აღუკვეთს, ის იღებს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს მკურნალობა და დაიცვას და ხელი შეუწყოს მის ფიზიკურ და ფსიქიკურ სიჯანსაღეს და კეთილდღეობას. შესაბამისად, ხელისუფლებამ სათანადო რესურსი უნდა მიუძღვნას იმის უზრუნველყოფას, რომ ციხეების ჯანდაცვა ადეკვატური იყოს, ციხის კონტიგენტის რიცხოვნობისა და საჭიროებების გათვალისწინებით. შესაბამისად, სახელმწიფოებს ეკისრებათ განსაკუთრებული ზრუნვის ვალდებულება დაკავებულ პირებზე, რადგან პატიმრებს არ გააჩნიათ სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ იყვნენ ციხის ხელმძღვანელობაზე დამოკიდებული თავიანთი ჯანმრთელობის დაცვისა და ხელშეწყობისთვის. პატიმრები, როგორც ადამიანები, ინარჩუნებენ ჯანმრთელობის უფლებას, როგორც ეს მოცემულია ICCPR-ის მე-12-ე მუხლსა და „პატიმრებთან მოპყრობის ძირითადი პრინციპების“ მე-9 პრინციპში. WHO-მ და UNODC-მა აღნიშნეს, რომ „პატიმართა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ხელშეწყობისთვის ყველა შესაბამისი უწყების და რესურსის მართვა და კოორდინაცია სრულებით სახელმწიფოს მოვალეობაა და, რომ „ჯანდაცვის სამინისტროები უნდა უწყვედნენ ჯანდაცვის მომსახურებას ციხეებში და იყონ ამ მხრივ ანგარიშვალდებულნი, ითხოვდნენ ჯანსაღი საპატიმრო პირობების შექმნას“.

N8 დაწესებულების არასრულწლოვნების განყოფილებაში განთავსებულია ექიმის კაბინეტი, სადაც ასევე ინახება საჭირო მედიკამენტები. ადგილზე ექიმი იმყოფება დღის განმავლობაში. დამით, საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვნებთან გადმოდის N8 დაწესებულების მორიგე ექიმი. არასრულწლოვნებს ასევე შესაძლებლობა აქვთ, ისარგებლონ სტომატოლოგის მომსახურებით.

მონიტორინგისას გამოირკვა, რომ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არის თამბაქოს მომხმარებელი. არასრულწლოვნების გადმოცემით, მათ ადმინისტრაცია დღეში ურიგებს რამდენიმე ლერ სიგარეტს, რომელიც არის მათთვის განკუთვნილი. არასრულწლოვნები თამბაქოს იძენენ ასევე დაწესებულების მაღაზიაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნებთან თამბაქოს მავნებლობასა და თავის დანებების თაობაზე არავინ მუშაობს.

**რეკომენდაცია:** მნიშვნელოვანია, არასრულწლოვნების საპატიმრო დაწესებულებაში შეიქმნას თამბაქოსთვის თავის დანებების პროგრამები, უწყვეტად მიდიოდეს არასრულწლოვნებისთვის თამბაქოს მავნებლობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა საშუალებით.

<sup>81</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესი 24. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf).

## 8.5. კვიზა

„მანდელას წესების“ 42-ე წესში მოცემულია საცხოვრებელი პირობების ჩამონათვალი, რომელიც უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველა პატიმრისთვის, გამონაკლისის გარეშე<sup>82</sup>. პატიმრებს უნდა მიეწოდებოდეთ სათანადო კვებითი ღირებულების და ხარისხის საკვები, ასევე წყალი ნებისმიერ დროს. დაუშვებელია, დისციპლინური სასჯელის სახით საკვებისა და წყლის აკრძალვა. მათი მიწოდება უნდა ხდებოდეს გამონაკლისის შემთხვევების გარეშე<sup>83</sup>.

N8 დაწესებულებაში არსებული დღის წესრიგის მიხედვით, არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოფილია სამჯერადი კვება (საუზმე - 10:30 - 11:00, სადილი 14:00 - 14:30, ვახშამი - 17:30 - 18:00). ბავშვების ინფორმაციით, დარიგებული საკვები, ხშირ შემთხვევებში, არის უგემური და მათთვის მიუღებელი. საკვებ მენიუმში ხილი არის დაახლოებით კვირამი ერთხელ: თითო ბავშვზე ერთი ცალი ვაშლი ან ვაშლატამა. ბავშვები ძირითადად იკვებებიან ამანათით მიღებული და დაწესებულების მაღაზიაში შეძენილი საკვებით. 2019 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა არასრულწლოვანი პატიმრების ოთხჯერადი ჯანსაღი კვების უზრუნველსაყოფად რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს<sup>84</sup>.

**რეკომენდაცია:** პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო კვებითი ღირებულებისა და ხარისხის საკვებით, ასევე წყლით, ნებისმიერ დროს.

## 8.6. კონტაქტი გარე სამყაროსთან

გარე სამყაროსთან სისტემატური კონტაქტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს პატიმრის რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესში. შესაბამისად, ხელმძღვანელმა პირებმა შეძლებისდაგვარად ხელი უნდა შეუწყონ ამგვარ კონტაქტს.

„მანდელას წესების“ 43-ე წესის მე-3 ნაწილის თანახმად, დისციპლინური სახდელები ან შემზღვეველი ღონისძიებები არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის აკრძალვას. ეს გულისხმობს, რომ ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული პერიოდით და ისეთ შემთხვევაში, თუ ამას მკაცრად მოითხოვს უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების ინტერესები<sup>85</sup>.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 87-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, თვეში ჰქონდეს არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა. მას აგრეთვე აქვს უფლება, დაწესებულების კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, და შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან

<sup>82</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესი 42. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf).

<sup>83</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესები 22, 35, 42, 43. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf);

<sup>84</sup> იხ. სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 80-81. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>;

<sup>85</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესი 43. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf).

სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის საწყის პერიოდში, როდესაც არასრულწლოვნის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მძიმეა და უწევს დახურულ სივრცესთან შეგუება, ძალიან მნიშვნელოვანია ამ დროს მისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტი. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ადამიანური ურთიერთობა უნდა იყოს პირისპირ და უშუალო (ფიზიკური ბარიერების გარეშე) და მეტი, ვიდრე სწრაფწარმავალი და შემთხვევითი, რაც იძლევა ემპათიური (თანაგრძნობის გამომხატავი) კომუნიკაციის საშუალებას ადამიანებს შორის. კონტაქტი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იმ ურთიერთობებით, რაც დადგენილია ციხის შინაგანაწესით თუ დებულებით, სისხლის სამართლის საქმის საპროცესო მიმდინარეობით ან სამედიცინო საჭიროებით<sup>86</sup>.

მონიტორინგის პერიოდში 20 არასრულწლოვნიდან 5 არასრულწლოვანს შეზღუდული ჰქონდა სატელეფონო საუბრით სარგებლობის უფლება.

მონიტორინგის ჯგუფთან გასაუბრების დროს არასრულწლოვნები საუბრობდნენ ოჯახის წევრებთან კონტაქტის სურვილზე და საჭიროებაზე. N8 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემნები ტარდება მინიმუმ გატიხრულ კაბინებში, სადაც არასრულწლოვნებს ოჯახის წევრებთან კონტაქტი უწევთ ტელეფონის გამოყენებით და არ აქვთ ფიზიკური შეხების საშუალება.

**რეკომენდაცია:** მნიშვნელოვანია, მოხდეს არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტის გაძლიერების ხელშეწყობა. ასევე, ხანმოკლე პაემნების დროს არასრულწლოვნებს მიეცეთ ოჯახის წევრებთან უშუალო კონტაქტის საშუალება მინიმუმ ბარიერის გარეშე.

## 9. შემაჯამებელი რეკომენდაციები

- დაცვისა და სათანადო ინდივიდუალური მოპყრობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გარკვეული ჯგუფები მოთავსდნენ ერთმანეთისგან განცალკევებით. ეს ეხება როგორც ბრალდებულებასა და მსჯავრდებულებას, ისე არასრულწლოვან და სრულწლოვან პატიმრებს;
- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, უნდა გამოირიცხოს სრული შემოწმების რუტინულად განხორციელების შესაძლებლობა და ის დაფუძნებული უნდა იყოს მხოლოდ პატიმრის მხრიდან უსაფრთხოების კუთხით მომდინარე რისკის ინდივიდუალური შეფასების, თანაზომიერებისა და აუცილებლობის პრინციპების გათვალისწინებით. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ სრული შემოწმება განხორციელდეს გამონაკლის შემთხვევებში და მხოლოდ შესაბამისი წერილობითი დასაბუთებით. სხეულის გაშიშვლება და ინვაზიური შემოწმების პროცედურები მკაცრად უნდა იყოს რეგულირებული კანონით. განსაკუთრებით ბავშვი პატიმრების ჩხრეკისა და შემოწმებისას უნდა არსებობდეს კონკრეტული მითითებები;
- კანონმდებლობით ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სრული შემოწმება და შინაგანი შემოწმება და უნდა დადგინდეს თითოეულის გამოყენების შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურები;
- მიღებისას, ნებისმიერ პატიმარს დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს შემდეგი სახის წერილობითი ინფორმაცია: (ა) კანონი ციხეების შესახებ და ციხის შინაგანაწესი;

<sup>86</sup> იხ. ესექსის დოკუმენტი 3“, „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ და ესექსის უნივერსიტეტი, op. cit, შენიშვნა 4, გვ. 89.. იხ. <https://rm.coe.int/168066f6f50>.



(ბ) მისი უფლებები, ინფორმაციის მოძიების კანონიერი გზები, სამართლებრივ დახმარებაზე წვდომა, მათ შორის უფასო იურიდიული დახმარების გზით და განცხადების ან საჩივრის წარდგენის პროცედურები; (გ) მისი ვალდებულებები და დისციპლინური სასჯელების შესახებ;

- აუცილებელია, დეესკალაციის ოთახებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის - რბილი მასალით კედლებისა და იატაკის მოპირკეთების გზით; რბილი საწოლის განთავსებით. ამასთან, პატიმართა მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, პენიტენციურ დაწესებულებებში უნდა მოხდეს სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა, განათება და ვენტილაცია;
- აუცილებელია, არასრულწლოვნებს დაწვრილებით მიეწოდოთ განათლების მიღებასთან დაკავშირებით ყველა საჭირო ინფორმაცია. საჭიროა ასევე, სოციალური მუშაკების მუშაობის აღდგენა და მათი ჩართულობა, რათა არასრულწლოვნებს აუმაღლონ სწავლის მოტივაცია;
- გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ ადგენს, რომ ამ წესებში განხილული ზოგადი საცხოვრებელი პირობები, მათ შორის - განათებასთან, ვენტილაციასთან, ტემპერატურასთან, სანიტარიასთან, კვებასთან, სასმელ წყალთან, სუფთა ჰაერსა და ფიზიკურ ვარჯიშთან, პირად ჰიგიენასთან, ჯანდაცვასა და ადეკვატურ პირად სივრცესთან დაკავშირებული წესები გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ციხეში, გამონაკლისის გარეშე<sup>87</sup>. შესაბამისად, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უმოკლეს ვადებში უნდა აღმოფხვრას ამ მხრივ არსებული პრობლემური საკითხები და მოიყვანოს იგი საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობაში;
- მნიშვნელოვანია, არასრულწლოვნების საპატიმრო დაწესებულებაში შეიქმნას თამბაქოსთვის თავის დანებების პროგრამები, უწყვეტად მიდიოდეს არასრულწლოვნებისთვის თამბაქოს მავნებლობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა საშუალებით;
- პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო კვებითი ღირებულებისა და ხარისხის საკვებით, ასევე წყლით, ნებისმიერ დროს;
- მნიშვნელოვანია, მოხდეს არასრულწლოვანი ბრალდებულებისთვის ოჯახის წევრებთან კონტაქტის გაძლიერების ხელშეწყობა. ასევე, ხანმოკლე პაემნების დროს არასრულწლოვნებს მიეცეთ ოჯახის წევრებთან უშუალო კონტაქტის საშუალება მინის ბარიერის გარეშე.

<sup>87</sup> იხ. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ, („მანდელას წესები“), წესი 42. [https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson\\_Mandela\\_Rules-E-ebook.pdf](https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Nelson_Mandela_Rules-E-ebook.pdf).